

აგროდაზღვევის პრობლემები
ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

ნატალი ოზგაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (სადაზღვევო საქმეში)*

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური
დოქტორი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნატალი ოზგაიძე

27.06.2015 წ.

აბსტრაქტი

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროდაზღვევას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა აგროდაზღვევის შესახებ ფერმერების ცოდნის, სადაზღვევო კომპანიებისადმი მათი ნდობისა და მომავალში დაზღვევით სარგებლობასთან დაკავშირებით ფერმერთა მზაობის შესწავლა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ ფერმერებთან. კითხვარი შედგენილი იყო ღია და დახურული კითხვებით. ფერმერთა უმრავლესობამ (98%) იცის აგროდაზღვევის შესახებ. აგროდაზღვევით სარგებლობს რესპოდენტთა მხოლოდ 40%. დამზღვევთა უმრავლესობა კმაყოფილია აგროდაზღვევით (80%). ფერმერთა 60% მომავალშიც აპირებს აგროდაზღვევით სარგებლობას. თუმცა, დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო პროგრამა კვლავ გაგრძელდება და წელს დაზღვეულები მიიღებენ ზარალის ანაზღაურებას. ფერმერები აგროდაზღვევით უკმაყოფილების უმთავრეს მიზეზად ასახელებენ დაბალ ნდობის ფაქტორს, სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ ნაკლებ ინფორმირებულობას.

ფერმერთა აგროდაზღვევით უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენს დაზღვევისადმი უნდობლობა. ამ მხრივ, მიზანშეწონილია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ დამზღვევთა (ფერმერთა) ინფორმირებულობის ამაღლება. სადაზღვევო კომპანიებსა და დამზღვევებს შორის სადაო საკითხების არსებობისას მიზანშეწონილია, მედიაციის სამსახურის ამოქმედება, რომელიც შეძლებს, დაიცვას დამზღვევთა უფლებები. იმის გამო, რომ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სადაზღვევო პირობებს სთავაზობენ დამზღვევებს, მიზანშეწონილია ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება, რომ დამზღვევმა მიიღოს სათანადო, ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პირობების შესახებ. იგი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს დამზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აგროდაზღვევა, დაზღვევა, სოფლის მეურნეობა

Abstract

In every country agroinsurance is important for developing agriculture. Research aim was to study farmers' readiness about agroinsurance, including their knowledge and confidence in insurance companies, also their future collaboration. What about a qualitative research, farmers were interviewed (deepening interview was held). There were two kinds of questions in questionnaire: open and closed. The majority of farmers (98%) know about agroinsurance. Only 40% of respondents use agroinsurance. The majority of people, who are insured, are satisfied with agroinsurance (80%). 60% of farmers is going to use agroinsurance in future. Although they say, that they will use agroinsurance if the government program continuous and their losses are recovered. Farmers think, that the main reason of dissatisfaction with agroinsurance is low quality of confidence and also lack of information about the conditions of insurance contract.

The main reason of dissatisfaction with agroinsurance is no confidence in insurance companies. That's why it's highly recommended that farmers would be more informed about the conditions of insurance contract. If there is a disagreement between the farmers and insurance companies, it is recommended to be a mediation institute, which protects farmers' rights. Different insurance companies offer different insurance conditions to the people who want to have insurance. That's why transparency of information is important. In this case, person who wants to have insurance, he will receive suitable, exhaustive information about the insurance conditions of different companies. This will increase the quality of competition between insurance companies, of course it will have a positive influence on people's rights to have a free choice about suitable insurance company.

key words: agroinsurance, insurance, agriculture.

მადლობა

აღსანიშნავია სამეცნიერო ხელმძღვანელის წვლილი წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში. თემის ხელმძღვანელის - ბატონ თენგიზ ვერულავას რეკომენდაციებით ჩატარდა კვლევა და მომზადდა მთლიანად ნაშრომი. მოწოდებული ინფორმაციით დიდი დახმარება გამიწია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ბატონმა გივი ჭონიაშვილმა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახმეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ირა ელანიძემ.